დამტკიცებულია სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 2025 წლის 17 აპრილის №01-05-04/48 დადგენილებით

2025 წლის 08 ივლისის მდგომარეობით

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო და წესის მიზანი

1. წინამდებარე წესი პროფესიული განათლების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არეგულირებს სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში (შემდგომში – უნივერსიტეტი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების/შეჩერების/შეწყვეტის/აღდგენის, პროფესიული სტუდენტის მობილობის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვის, სასწავლო პროცესის რეგულირების, პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცედურის, პროფესიული სტუდენტის უფლება–მოვალეობების, კვალიფიკაციის მინიჭებისა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.
2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვის და პროგრამების განხორციელების პროცესის ადმინისტრირებას შესაბამის ფაკულტეტებთან კოორდინაციით ახორციელებს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრი (შემდგომში- ცენტრი).

მუხლი 2. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის წესი

1. უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია და მისი განხორციელების მექანიზმი ითვალისწინებს უნივერსიტეტის მისიას, განვითარების სტრატეგიულ გეგმას, რესურსებს, შრომის ბაზრის მოთხოვნებს და სხვა საკითხებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.
2. უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტი წარმოადგენს ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების საერთო რაოდენობას. შესაბამისად, კონტინგენტის დაგეგმვა მჭიდროდაა დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვასა და განვითარებასთან.
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კონტინგენტის დაგეგმვა ხდება ფაკულტეტის დეკანის, მენეჯერის და პროგრამის ხელმძღვანელების ჩართულობით, შრომის ბაზრის (მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნებული ვაკანსიები, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები და მათი წერილობითი დადასტურება სპეციალისტების მიმართ მიმდინარე და საპროგნოზო მოთხოვნებზე) კვლევის ანალიზის, პროფესიული ასოციაციების, სახელმწიფო, საერთაშორისო ან/და არასამთავრობო ორგანიზაციების მოწოდებული ინფორმაციის ანალიზისა და უნივერსიტეტში სათანადო კვალიფიკაციის პროფესიული განათლების მასწავლებლების, მატერიალური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების, პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული კომპონენტის შესასრულებლად საჭირო ბაზის, აგრეთვე მოქმედ პროგრამებზე – კურსდამთავრებულთა დასაქმების (მათ შორის, მიღებული კვალიფიკაციით) სტატისტიკური მაჩვენებლების მონაცემების საფუძველზე.

4. იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილი სტუდენტთა ჯამური კონტინგენტი გადააჭარბებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ უნივერსიტეტისთვის განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას, უნივერსიტეტი კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართავს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის თაობაზე. ასევე უნივერსიტეტი უფლებამოსილია, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში მოითხოვოს თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრული ადგილების რაოდენობის გაზრდა.
5. პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის შევსების/განახლების დაგეგმვა მოიცავს პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის მისაღები ადგილების დადგენას, რისთვისაც ცენტრი წინასწარ მიმართავს ფაკულტეტებს შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენის თაობაზე.
6. პროფესიულ სტუდენტთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ პირთა ადგილების რაოდენობის გაანგარიშება ხდება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების შესაბამისად პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი (აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტის, მათ შორის სტატუსშეჩერებული) და შესაბამისი წლის დამამთავრებელი, ასევე უნივერსიტეტის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი წლისათვის გამოცხადებული მისაღები ადგილების რაოდენობის შესაბამისად.
7. ცენტრი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა მისაღებად ფაკულტეტებიდან წარმოდგენილი კონტინგენტის და სხვა საჭირო ინფორმაციის (ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება, ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათი) წარდგენას უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე დასამტკიცებლად.
8. აკადემიური საბჭო მისაღები კონტიგენტის განსაზღვრისას ითვალისწინებს უნივერსიტეტის საქმიანობის პრიორიტეტებს, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ უნივერსიტეტისთვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას და სხვა ფაქტორებს.
9. ცენტრი უზრუნველყოფს დადგენილ ვადებში სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - გამოცდების ეროვნული ცენტრი) წარსადგენად შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას.

მუხლი 3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

1. უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს პირს ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის, პროფესიული ტესტირების შედეგების, გასაუბრების/შემოქმედებითი ტურის/სპეციალური ტურის/პრაქტიკული სამუშაოს შემთხვევების ანალიზის და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტით დადგენილი დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველზე.
2. პროფესიული ტესტირების, გასაუბრების/შემოქმედებითი ტურის/სპეციალური ტურის/პრაქტიკული სამუშაოს შემთხვევების ანალიზის შედეგების საფუძველზე გამოვლინდებიან ის აპლიკანტები, რომლებიც მოიპოვებენ სწავლის უფლებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

მუხლი 4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის ეტაპებია:

ა) უნივერსიტეტის მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება;
ბ) აპლიკანტთა რეგისტრაცია;
გ) აპლიკანტთა შერჩევა;
დ) აპლიკანტთა რეიტინგული სიის შედგენა, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (შემდგომში - მართვის სისტემა) უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად;
ე) მართვის სისტემის მიერ აპლიკანტთა შეფასების შედეგების, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირის სტატუსის გათვალისწინებით შედგენილი რეიტინგული სიის უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცება;
ვ) შედეგების გამოცხადება და პროგრამაზე ჩარიცხვა, რის საფუძველზეც აპლიკანტს ენიჭება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
2. აპლიკანტთა შერჩევა გულისხმობს პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა შეფასებას.
3. შერჩევის პერიოდი, ტესტირებისა და სწავლის დაწყების თარიღი განისაზღვრება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/აქტებით (შემდგომში - მინისტრის აქტი).
4. შერჩევა ხორციელდება ქართულ ენაზე, გარდა უცხოენოვან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის შემთხვევაში.
5. უცხოენოვან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადება, აპლიკანტთა რეგისტრაცია, შერჩევა და პირთა ჩარიცხვა ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტით დადგენილი წესით კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით.
6. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესს კოორდინაციას უწევს ცენტრი.

მუხლი 5. ანკეტა-კითხვარის შევსების პროცედურა

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების მიზნით, უნივერსიტეტი ავსებს მართვის სისტემის უფროსის ინივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის ანკეტა-კითხვარს ელექტრონულად, რომელიც წარმოადგენს აპლიკანტთა რეგისტრაციის მიზნით შექმნილ სარეგისტრაციო სისტემის ინფორმაციის წყაროს.
2. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში უნივერსიტეტის მიერ შევსებული ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია ცენტრი.
3. მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაანგარიშება ხორციელდება შემდეგი პრინციპით:
ა) პროგრამისათვის განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას აკლდება ამ პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობა და მიღებული სხვაობა ემატება ამ პროგრამაზე სწავლის დაწყების დროისათვის დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტების რაოდენობას;
ბ) აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა გამოითვლება უნივერსიტეტის მიერ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული

მონაცემების შესაბამისად, ანკეტა-კითხვარის შევსების დაწყების წინა დღის მდგომარეობით;
გ) დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა გამოითვლება სწავლის დაწყების თარიღის მდგომარეობით, მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული მონაცემების შესაბამისად.
4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის მისაღები ადგილების რაოდენობა განისაზღვრება პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ზემოთ, გამოცხადებული ადგილების 15%-ის ფარგლებში, გარდა იმ პროგრამაზე, რომელიც ხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში. ამ პროგრამაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების მიღება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი შერჩევის წესით. პროგრამაზე მისაღები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა რაოდენობა აისახება ანკეტა-კითხვარში.
5. მართვის სისტემის მიერ საბოლოო რეიტინგული სიების უნივერსიტეტისათვის ხელმისაწვდომობიდან ორი სამუშაო დღის ვადაში უნივერსიტეტი უფლებამოსილია მისაღები ადგილები გაზარდოს შესაბამის პროგრამაზე არსებული თავისუფალი ადგილების რაოდენობის ფარგლებში.

მუხლი 6. აპლიკანტთა რეგისტრაცია
1. პროფესიულ პროგრამაზე რეგისტრაციის მიზნით, პირი ავტორიზაციას გადის სარეგისტრაციო სისტემაში და რეგისტრირდება აპლიკანტად.
2. აპლიკანტთა რეგისტრაცია ხორციელდება მინისტრის აქტით დადგენილ ვადაში.
3. რეგისტრაციისას აპლიკანტი უფლებამოსილია აირჩიოს არაუმეტეს 3 სასურველი პროგრამა.
4. რეგისტრაციისას სარეგისტრაციო სისტემაში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია აპლიკანტი. სარეგისტრაციო სისტემაში მცდარი მონაცემების ასახვა შესაძლოა გახდეს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის ან პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ უნივერსიტეტის რექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი.
5. რეგისტრაცია დასტურდება აპლიკანტის ელექტრონულ ფოსტასა და ტელეფონის ნომერზე ერთჯერადი კოდის გაგზავნით, შევსებული მონაცემები მისთვის ხელმისაწვდომია ინდივიდუალური ანგარიშის მეშვეობით
6. აპლიკანტს არჩევანის შეცვლა შეუძლია რეგისტრაციისთვის ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე დადგენილ ვადაში.
7. ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, სარეგისტრაციო სისტემაში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია.

მუხლი 7. აპლიკანტთა შერჩევის პროცესი, შეფასების მეთოდები და ეტაპები
1. აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება ამ წესით დადგენილი პროცედურების შესაბამისად, მინისტრის აქტით აპლიკანტთა შერჩევისათვის განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით.
2. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე, რომლის ჩატარების ვადები და წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით. უნივერსიტეტი, უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გათვალისწინებით, განსაზღვრავს შეფასების დამატებით მექანიზმებს, ამ წესით დადგენილი შერჩევის პროცედურის შესაბამისად.
3. აპლიკანტთა შეფასების თარიღი/თარიღები და შეფასების მეთოდები და ეტაპები განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტით. უნივერსიტეტი ვალდებულია აღნიშნული ინფორმაცია ასახოს სარეგისტრაციო სისტემაში და ასევე განათავსოს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, შეფასების თარიღის დადგომამდე არანაკლებ 2 სამუშაო დღისა.
4. უნივერსიტეტი ამ მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული თარიღის/თარიღების შესახებ აცნობებს აპლიკანტს, გონივრულ ვადაში, აპლიკანტის მიერ რეგისტრაციისას მითითებული საკომუნიკაციო საშუალებებით.
5. აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება ერთ ან ორ ეტაპად - ტესტირების ან/და გასაუბრების/შემოქმედებითი ტურის/სპეციალური ტურის/პრაქტიკული სამუშაოს შემთხვევების ანალიზის ფორმით.
6. აპლიკანტთა შეფასება დიფერენცირებულია და მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული რექტორის ბრძანებით, შერჩევის ეტაპის დაწყებამდე.
7. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე, რომლის ჩატარების თარიღი განისაზღვრება მინისტრის აქტით.
8. საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენისას, შესაძლებელია აპლიკანტის შეფასება განხორციელდეს განსხვავებულ თარიღში, რა დროსაც ინდივიდუალურად მოხდება აპლიკანტის დაშვება შეფასების ეტაპებზე, არა უგვიანეს შეფასების ვადების დასრულებისა.

მუხლი 8. შესარჩევი და სააპელაციო კომისიები
1. აპლიკანტთა შერჩევის მიზნით უნივერსიტეტის რექტორის მიერ იქმნება შესარჩევი და სააპელაციო კომისიები, რომელთა შემადგენლობაში უნივერსიტეტის წარმომადგენელთა გარდა შედიან უნივერსიტეტის პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლები.
2. კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე და წევრები.
3. შესარჩევი კომისიის წევრი ვალდებულია შერჩევის დაწყებამდე, წინასწარ განაცხადოს ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს აპლიკანტის ობიექტურად შეფასებასა და მის მიმართ გადაწყვეტილების მიუკერძოებლად მიღებაში.
4. ამ მუხლის მესამე პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისას კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება. აღნიშნული კომისიის წევრი ვერ მიიღებს მონაწილეობას აპლიკანტის შეფასებაში და აპლიკანტის მიმართ გადაწყვეტილების მიღებაში.
5. იმ შემთხვევაში, თუ კომისიის წევრი არ განაცხადებს ამ მუხლის მესამე პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობის შესახებ, ხოლო აღნიშნული ცნობილი გახდება კომისიისათვის შერჩევის ეტაპის მიმდინარეობისას, შესაბამისი კომისიის წევრის მიერ აპლიკანტის შეფასება არ იქნება გათვალისწინებული საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.
6. იმ შემთხვევაში, თუ კომისიის წევრი არ განაცხადებს ამ მუხლის მესამე პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობის შესახებ, ხოლო აღნიშნული ცნობილი გახდება კომისიისათვის კონკურსის დასრულების შემდგომ, ამ წევრის მიმართ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს დისციპლინური სახდელი უნივერსიტეტის პერსონალის შემთხვევაში.
7. პირი, რომელიც მონაწილეობდა შერჩევის რომელიმე ეტაპზე, არ შეიძლება იყოს სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში.

მუხლი 9. შესარჩევი კომისიის მუშაობის წესი
1. კომისიის მუშაობის წესს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.
2. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

3. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება ამ წესის მე-11 მუხლის შესაბამისად.
4. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე და დამსწრე კომისიის წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

მუხლი 10. სააპელაციო კომისიის მუშაობის წესი
1. კომისიის მუშაობის წესს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.
2. სააპელაციო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.
3. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტად ითვლება თავმჯდომარის ხმა.
4. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს სააპელაციო კომისიის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები. სააპელაციო კომისიის წევრს უფლება აქვს გამოხატოს განსხვავებული აზრი და დაურთოს ოქმს, რის შესახებაც კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.
5. შერჩევის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით, აპლიკანტებს სააპელაციო კომისიისადმი მიმართვის უფლება აქვთ შერჩევის ეტაპის შედეგების გამოცხადებიდან არა უგვიანეს 1 სამუშაო დღისა. სააპელაციო კომისიის სახელზე შემოტანილი განცხადება განიხილება მიღებიდან არა უმეტეს 2 სამუშაო დღისა. მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე შედგება ოქმი გამოვლენილი ხარვეზის შესახებ და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება შესარჩევ კომისიას.
6. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს შესარჩევი კომისია სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილების გათვალისწინებით.

მუხლი 11. შესარჩევი კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება
1. კომისია აპლიკანტებთან გასაუბრების/შემოქმედებითი ტურის/სპეციალური ტურის/ პრაქტიკული სამუშაოს შემთხვევების ანალიზის ან/და მათი ტესტირების შემდეგ მათ დაუსწრებლად სხდომაზე განიხილავს თითოეული აპლიკანტის შეფასებისას მიღებულ ქულებს.
2. შესარჩევი კომისია საბოლოო შედეგების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს შეფასების დასრულებიდან სამი დღის ვადაში.

მუხლი 12. აპლიკანტთა შეფასების შედეგები
1. უნივერსიტეტი, ამ წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პერიოდში სარეგისტრაციო სისტემაში ასახავს აპლიკანტთა შეფასების შედეგებს.
2. აპლიკანტთა რეიტინგულ სიას ადგენს მართვის სისტემა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. მართვის სისტემა უზრუნველყოფს:
ა) უნივერსიტეტისათვის აპლიკანტთა რეიტინგული სიების ხელმისაწვდომობას თითოეული პროგრამის მიხედვით;
ბ) აპლიკანტისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რეიტინგში მისი ადგილის შესახებ, სარეიტინგო ქულის გათვალისწინებით, ყველა არჩეული პროგრამის მიხედვით.

მუხლი 13. უნივერსიტეტში ჩარიცხვა

1. უნივერსიტეტი ვალდებულია, აპლიკანტები ჩარიცხოს პროგრამისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით, უმაღლესიდან უმდაბლესისკენ, აპლიკანტის მიერ წერილობით გამოხატული ნების საფუძველზე.
2. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვა ხორციელდება პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობის:
ა) 70%-ის ფარგლებში, იმ აპლიკანტთა სარეიტინგო ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა სრული ზოგადი განათლება.
ბ) 30%-ის ფარგლებში, იმ აპლიკანტთა სარეიტინგო ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა პროფესიული ან/და უმაღლესი განათლება.
3. აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით, უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება:
ა) აპლიკანტის მიერ, ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი;
ბ) დოკუმენტების წარდგენის ფორმა;
გ) დოკუმენტების წარდგენის ვადები;
დ) ხელშეკრულების გაფორმების პირობები და ვადები;
ე) აპლიკანტთა ჩარიცხვასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.
4. მინისტრის მიერ დადგენილ ვადებში, ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესისა და ამ მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, გამოიცემა უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.
5. უნივერსიტეტი უფლებამოსილია აპლიკანტს არ მოსთხოვოს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ აღნიშნული განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევა, აპლიკანტის რეგისტრაციის მომენტში, დადასტურებულია მართვის სისტემის მიერ.
6. აპლიკანტი, რომელსაც რეგისტრაციისას არჩეული აქვს რამდენიმე პროგრამა, უფლებამოსილია ჩაირიცხოს მხოლოდ ერთ პროგრამაზე.
7. რეიტინგულ სიაში, აპლიკანტის ადგილს იკავებს რეიტინგული სიის მიხედვით მომდევნო აპლიკანტი:
ა) უნივერსიტეტის მიერ აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული საფუძვლების შესაბამისად;
ბ) აპლიკანტის მიერ პროგრამაზე ჩარიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში.
8. პროფესიულ პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობის ფარგლებში მიღწეული განათლების დონის მიხედვით გამოყოფილი ადგილების შეუვსებლობის შემთხვევაში, ეს ადგილები გამოიყენება მეორე რეიტინგულ სიაში მყოფი აპლიკანტთა ჩარიცხვისთვის.
9. თუ ორი ან ორზე მეტი აპლიკანტი რეიტინგულ სიაში მოხვდა თანაბარი რეიტინგული ქულით და მათი პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებულ ადგილთა რაოდენობას, უნივერსიტეტის შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაემატება მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ის რაოდენობა, რაც აუცილებელია ამ პუნქტით განსაზღვრული თანაბარქულიანი აპლიკანტების ჩასარიცხად.
10. თუ ამ მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს უნივერსიტეტის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფილი ადგილებისთვის შესაბამის წელს განსაზღვრული მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობის ფარგლებს, დამატებული

ადგილების რაოდენობა მოაკლდება ამავე პროგრამაზე მომდევნო მიღებისათვის განსაზღვრულ ადგილებს.
11. უნივერსიტეტი ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა შესახებ ინფორმაციის ასახვა პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მინისტრის აქტის საფუძველზე განსაზღვრული სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე.

მუხლი 14. პროგრამაზე ხუთზე ნაკლები რაოდენობის პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის პირობები
1. პროგრამაზე ჯგუფი არ გაიხსნება, თუ მასზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა ხუთზე ნაკლებია.
2. პროფესიულ სტუდენტს, რომელიც ჩაირიცხა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა ხუთზე ნაკლებია, უფლება აქვს:
ა) სწავლის გაგრძელების მიზნით ისარგებლოს გარე მობილობის უფლებით და გადავიდეს სხვა დაწესებულებაში კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;
ბ) ისარგებლოს შიდა მობილობის უფლებით მონათესავე სხვა პროგრამაზე;
გ) შეიჩეროს პროფესიული სტუდენტის სტატუსი და შეინარჩუნოს მის მიერ მოპოვებული სამართლებრივი მდგომარეობა.

მუხლი 15. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვა
1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვის უფლება შესაძლოა მიენიჭოთ:
ა) უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს;
ბ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს უცხო ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვის წინა წელს და რომელთა განათლება აღიარებულ იქნა კანონმდებლობით დადგენილი წესით;
გ) საქართველოს მოქალაქეებს და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 2013 მუხლით გათვალისწინებულ პირებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;
დ) თავშესაფრის მაძიებელ, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებზე ვრცელდება რეგისტრაციისთვის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული პირობები, ხოლო მათი შერჩევის წესი და პირობები განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისად.
3. უნივერსიტეტი, ამ მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად შერჩეული აპლიკანტების შესახებ ინფორმაციას ასახავს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მინისტრის აქტით განსაზღვრული შერჩევის პერიოდში.
4. ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული წესით შერჩეული აპლიკანტების ჩარიცხვის შესახებ გამოიცემა უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ინფორმაცია აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 16. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვა

1. აპლიკანტი, რომელსაც ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტის/სპეციალისტების მიერ დადასტურებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსი, უფლება აქვს უნივერსიტეტში ჩარიცხვის მიზნით სარეგისტრაციო პორტალზე გააკეთოს შესაბამისი არჩევანი რეგიტრაციისათვის მინისტრის აქტით განსაზღვრულ ვადაში.

2. უნივერსიტეტი განიხილავს ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტის/სპეციალისტების მიერ მომზადებულ რეკომენდაციებს და თანდართულ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას აპლიკანტის პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.

3. თუ პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა აღემატება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისთვის გათვალისწინებულ ადგილების რაოდენობას ჩარიცხვის დროს უპირატესობა ენიჭება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტს, რომელიც პირველად მოიპოვებს პროფესიული სტუდენტის სტატუსს.

4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების ჩარიცხვისას უნივერსიტეტი ითვალისწინებს დამატებით კრიტერიუმებს/პირობებს. თუ პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა აღემატება პროგრამისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისთვის გათვალისწინებული ადგილების რაოდენობას, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, უპირატესობა ენიჭება შემდეგი კატეგორიის აპლიკანტს:

ა) არ აქვს მოსწავლის, პროფესიული სტუდენტის ან სტუდენტის სტატუსი;

ბ) წინა წელს ვერ მოიპოვა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, სსსმ პირებისთვის გათვალისწინებული არასაკმარისი ადგილების რაოდენობის გამო;

გ) გავლილი აქვს ნაკლები რაოდენობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

დ) სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი პირი;

ე) სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე;

ვ) დევნილის სტატუსის მქონე;

ზ) მრავალშვილიანი ოჯახის წარმომადგენელი.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული აპლიკანტებიდან უპირატესობა მიენიჭება სტატუსის მიხედვით ანბანური ჩამონათვალის შესაბამისად განსაზღვრულ აპლიკანტებს. ჩამონათვალიდან ორი ერთნაირი სტატუსის მქონე აპლიკანტიდან უპირატესობა ენიჭება იმ აპლიკანტს, ვინც ადრე გაიარა რეგისტრაცია.

6. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით, უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახავს ინფორმაციას მათთვის ჩარიცხვის უფლების

მინიჭების შესახებ, ამასთან, უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის ინფორმირებას მინისტრის აქტით აპლიკანტთა შერჩევისათვის განსაზღვრულ ვადებში და აფორმებს ხელშეკრულებას ამ აპლიკანტთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან.

7. უნივერსიტეტი ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შესახებ მონაცემებს ასახავს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მინისტრის აქტით განსაზღვრული სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე.

მუხლი 17. პროფესიული სტუდენტის საფინანსო და სასწავლო ხელშეკრულებები

1. სტუდენტი ვალდებულია გაიაროს აკადემიური (სასწავლო ხელშეკრულების გაფორმება) და ადმინისტრაციული (საფინანსო ხელშეკრულების გაფორმება და/ან სწავლების საფასურის გადახდა) რეგისტრაცია.

2. აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობად ჩაითვლება სათანადო დოკუმენტაციის პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობით გათვალისწინებული საბუთი/საბუთების წარმოუდგენლობა და/ან სასწავლო ხელშეკრულების გაუფორმებლობა.

3. ხელშეკრულებების მომზადება ხდება შესაბამისი ფაკულტეტის სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებაში. საფინანსო ხელშეკრულება ფორმდება პროფესიულ სტუდენტსა და რექტორს შორის; სასწავლო ხელშეკრულება ფორმდება პროფესიულ სტუდენტსა და ვიცე-რექტორს/დეკანს შორის და შეიცავს პროფესიული სტუდენტის მიერ გასავლელი მოდულების ნუსხას (დანართი 1).

4. დამატებითი სასწავლო ხელშეკრულება ფორმდება ასევე პროფესიულ სტუდენტსა და დეკანს შორის და შეიცავს პროფესიული სტუდენტის მიერ დამატებით გასავლელი მოდულების ნუსხას.

5. სასწავლო ხელშეკრულება, აგრეთვე დამატებითი სასწავლო ხელშეკრულება, წარმოადგენს საფინანსო ხელშეკრულების საფუძველს.

6. შევსებულ საფინანსო და სასწავლო ხელშეკრულებებს ხელს აწერს უშუალოდ პროფესიული სტუდენტი, ხოლო 18 წლამდე ასაკის საფინანსო ხელშეკრულებას ხელს აწერს ასევე მისი მშობელი ან სხვა კანონიერი წარმომადგენელი. კანონიერი წარმომადგენელობა უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი დოკუმენტით, რომლის ასლი უნდა ინახებოდეს პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში.

7. საფინანსო და სასწავლო ხელშეკრულება ფორმდება ორ ეგზემპლარად – ერთი რჩება პროფესიულ სტუდენტთან, ხოლო მეორე ინახება დეკანატში პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში. პროფესიულმა სტუდენტმა სწავლების საფასური (ვალდებულების არსებობის შემთხვევაში) უნდა გადაიხადოს საფინანსო ხელშეკრულებაში მითითებულ ვადაში.

8. სასწავლო ხელშეკრულებაში უნდა მიეთითოს:

ა) პროფესიული სტუდენტის გვარი, სახელი;

ბ) პირადი ნომერი;

გ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება და დონე;

დ) მოდულების დასახელება და შესაბამისი კრედიტების რაოდენობა.

9. სასწავლო ხელშეკრულებაში მიეთითება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდული. დამატებით სასწავლო ხელშეკრულებაში მიეთითება დამატებით (ხელახლა) გასავლელი მოდულები.
10. თუ პროფესიულ სტუდენტს დამატებით (ხელახლა) აქვს გასავლელი მოდულები, მან სასწავლო ხელშეკრულების, აგრეთვე დამატებითი სასწავლო ხელშეკრულების გაფორმების წინ დეკანატში უნდა მიიღოს კონსულტაცია. კონსულტაციის მიზანია დამატებით (ხელახლა) გასავლელ მოდულებს შორის პროგრამის შესაბამისად წინმსწრები მოდულების, აგრეთვე მათ გასავლელად ოპტიმალური პერიოდების შერჩევა.
11. მოდულის ხელახლა გავლა შეიძლება დეკანატისა და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შერჩეულ პერიოდში, ცენტრთან შეთანმებით.
12. პროფესიულმა სტუდენტმა სასწავლო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ უნდა გაიაროს ხელშეკრულებაში (მათ შორის დამატებითში) მითითებული ყველა მოდული.
13. სასწავლო ხელშეკრულების შეცვლა დაუშვებელია სასწავლო პროცესის დაწყების შემდეგ.

მუხლი 18. სასწავლო პროცესის წარმართვა

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის თარიღები (დაწყება, დამთავრება) განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
2. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს პროგრამის სასწავლო გეგმის საფუძველზე შედგენილი სასწავლო ცხრილების შესაბამისად, სალექციო, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობების ფორმით.
3. სასწავლო პროცესის დაწყებამდე არა უგვიანეს ერთი კვირისა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ცენტრის უფროსს დასამტკიცებლად წარუდგენს პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვებს. პროფესიული განათლების მასწავლებლის ყოველკვირეული დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 40 საათს, საიდანაც არანაკლებ სამი საათი განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის, პროფესიულ სტუდენტთა კონსულტაციის, მათთვის შეფასებების გაცნობისა და ინდივიდუალური რეკომენდაციების გაცემისა და სასწავლო პროცესის სხვა თანმხლები პროცედურებისთვის.
4. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია აწარმოოს პროფესიული სტუდენტის დასწრებისა და სწავლის შედეგების დადასტურების უწყისი, უზრუნველყოს მეცადინეობების სასწავლო ცხრილით დადგენილი გრაფიკით ხარისხიანი წარმართვა, პროფესიულ სტუდენტებს გაუწიოს დამატებითი კონსულტაციები და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს შედეგების დადასტურების განმეორებით ჩატარება, მონაწილეობა მიიღოს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციასა და ვერიფიკაციის პროცესებში.
5. მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია მოდულის დასრულებიდან 2 კვირის ვადაში პროგრამის ხელმძღვანელს წარუდგინოს შეფასების მტკიცებულებები. ხოლო თუ მოდული წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას, მოდულის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 დღის ვადაში მიაწოდოს ინფორმაცია სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელს იმ პროფესიული

სტუდენტების შესახებ, რომლებმაც ვერ დაადასტურეს მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგები. განმეორებითი შეფასებისას, თუ მოდული წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას, მოდულის განმახორციელებელი ვალდებულია შეფასების მტკიცებულებები პროგრამის ხელმძღვანელს წარუდგინოს არაუგვიანეს ახალი მოდულის დაწყებამდე 1 დღით ადრე.

4. პროფესიულ სტუდენტთა სწავლისა და დასვენების დრო განისაზღვრება სასწავლო ცხრილების შესაბამისად. სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობების ცხრილი დგება პროგრამების სასწავლო გეგმის მიხედვით ყოველკვირეულად და განთავსდება დაინტერესებულ პირთათვის უნივერსიტეტის ვენგვერდზე.

5. პროფესიულ სტუდენტთა თითოეული ჯგუფისთვის წარმოებს სწავლის შედეგების დადასტურების ჟურნალი/ოქმი, რომელიც ინახება შესაბამის ფაკულტეტზე.

6. მეცადინეობის ხანგძლივობა შეადგენს ერთ ასტრონომიულ საათს (აკადემიური საათი - 45 წუთი, შესვენება 15 წუთი).

7. სასწავლო პროცესი შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ცვლაში ან შეჭრილი გრაფიკით.

8. მეცადინეობების ცხრილი სწავლის დაწყებამდე განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

9. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო კვირა, განისაზღვრება ექვსი სამუშაო დღით.

10. პროფესიული სტუდენტების დასვენების დღეები განისაზღვრება ,საქართველოს შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებულ უქმე დღეებში და არდადეგების პერიოდში, რომელიც განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის თარიღებით.

მუხლი 19. ვალიდაციის პროცესი

1. პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის/მოდულების განხორციელებამდე არაუგვიანეს 2 კვირისა პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ხელმძღვანელს წარუდგენს კალენდარულ გეგმასა და შეფასების ინსტრუმენტებს ვალიდაციისათვის.

2. ვალიდატორი შეიძლება იყოს შესაბამისი დარგის უნივერსიტეტის აკადემიური პესონალი, რომელიც არ მონაწილეობს მოდულის განხორციელებაში. ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, ვალიდატორად შესაძლოა მოწვეულ იქნას შესაბამისი დარგის სპეციალისტი.

2. ვალიდატორი არ შეიძლება იყოს ვერიფიკაციის ჯგუფის წევრი.

3. ვალიდატორი/ვალიდატორები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით მტკიცდება შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით.

4. ვალიდაციის პროცესს მონიტორინგს უწევს ცენტრი.

5. ვალიდაციის ფორმას ხელმოწერით ადასტურებს დეკანის მიერ დამტკიცებული დარგის ვალიდატორი და ცენტრის უფროსი.

6. ვალიდაციის შევსებული (ხელმოწერით დადასტურებული) ფორმები ინახება შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელთან.

მუხლი 20 . პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა

1. პროფესიული სტუდენტის შეფასება ხორციელდება მიმდინარე და შუალედური შეფასებების მეშვეობით. შუალედური შეფასების პერიოდი განსაზღვრული უნდა იყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით (დანართი №3).

2. პროფესიული სტუდენტის შეფასებისას, გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების მიზნით, ხოლო მიმდინარე და შუალედური შეფასებისას გამოიყენება განმავითარებელი შეფასება.

3. პროფესიული სტუდენტების შეფასებისას მოწმდება შესაფასებელი პირის მიერ ცოდნისა და უნარების გამოყენების შესაძლებლობა. კომპეტენტურობის შეფასებისას შეფასება ხდება თითოეული მოდულის სპეციფიკაციაში მოცემული შესრულების კრიტერიუმის თანახმად.

4. კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება გულისხმობს იმის ჩვენებას, თუ რამდენად შეუძლია პროფესიულ სტუდენტს შეძენილი ცოდნისა და უნარების გამოყენება.

5. კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების პროცესში ხდება პროფესიული სტუდენტის ცოდნისა და უნარების დონის დადგენა შეფასების სტანდარტის შესაბამისად. პროფესიული სტუდენტი ჩაითვლება კომპეტენტურად, თუ მას შეუძლია სწავლის შედეგით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება.

6. მტკიცებულება არის პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალური სახით არსებული დასტური. მტკიცებულება შეიძლება იყოს პროფესიული სტუდენტის მიერ შევსებული ტესტი, შესრულებული ნახაზი, შექმნილი ნაკეთობა ან ნაკეთობის ფოტო, შემოწმების ფურცელი, რომელიც მასწავლებელმა შეავსო პროფესიული სტუდენტის მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაკვირვების შედაგად და სხვა.

7. მტკიცებულებების შეგროვება, შესაბამისად, სტუდენტთა შეფასება, მიმდინარეობს მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში ან/და სწავლის დასრულებისას. მტკიცებულება ინახება 3 წლის განმავლობაში.

8. მოდულების ფარგლებში შეფასების მნიშვნელოვანი თავისებურებებია:

ა) მოდულური პროგრამის გავლის დასადასტურებლად დადებითად უნდა შეფასდეს პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდული;

ბ) მოდულის ფარგლებში დადებითად უნდა შეფასდეს მოდულის შესაბამისი სწავლის შედეგი/შედეგები;

გ) მოდულის ფარგლებში დადებითად უნდა შეფასდეს თითოეული სწავლის შედეგის შესაბამისი ყველა კრიტერიუმი;

დ) შესაძლოა რამდენიმე სწავლის შედეგის ერთად შეფასება.

9. სწავლის შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში სტუდენტს, ერთხელ ეძლევა აღნიშნული სწავლის შედეგის ხელმეორედ დადასტურების უფლება განმსაზღვრელი უარყოფითი შეფასების მიღებიდან 10 დღის ვადაში. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებით შეფასება.

10. შეფასება დასაშვებია განხორციელდეს სხვადასხვა გარემოში: აუდიტორიაში, სამუშაო ადგილზე (ან სამუშაო ადგილის მსგავს პირობებში) და სხვა.

11. შეფასების მიმართულებებია:

ა) პროცესზე დაკვირვება;

ბ) პროდუქტი/შედეგი;

გ) გამოკითხვა (აკადემიური – კოგნიტური; კრეატიული; ანალიტიკური – უნარები).

12. შეფასების შედეგები შეიძლება ასახული იყოს შემდეგ დოკუმენტებში:

ა) შესაფასებელი პირის მიერ წარმოებული წერილობითი მტკიცებულება, რომელიც გამოიყენება შეფასებისას, ესენია: ტესტირების ფურცლები, პროექტები და სხვ.;

ბ) პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ გასაუბრების, ზეპირი გამოკითხვის და/ან პრაქტიკული შეფასებისას შევსებული დოკუმენტები;

გ) ჩანაწერების დოკუმენტი, რომელიც შეიცავს შესაფასებელი პირის ყველა შედეგს, რომელიც მომზადდა საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ;

დ) სწავლის შედეგების მიღწევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია შესაბამისი დანართებით;

ე) პროფესიული სტუდენტის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ინახება პორტფოლიოში, რაც ეხმარება შემფასებელსაც და შესაფასებელ პირსაც შეაგროვონ, წარმოადგინონ პროფესიული სტანდარტების შესაბამისი მტკიცებულებები;

ვ) შეფასების დოკუმენტაცია შეიძლება იყოს როგორც წერილობითი, ასევე ელექტრონული ფორმატის. ნებისმიერი ფორმატის შემთხვევაში დოკუმენტმა უნდა ასახოს ყველა წარმოდგენილი მტკიცებულება, ასევე უნდა გამოავლინოს შემფასებლის მიერ მიღებული შეფასების გადაწყვეტილებების შესაბამისობა შეფასების სტანდარტებთან. დოკუმენტი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ სად არის განთავსებული მტკიცებულება, რათა გარე შემმოწმებელმა შეძლოს მისი მოძიება და შემოწმება.

13. შეფასების ინსტრუმენტის ფორმა განისაზღვრება ამ წესის №4 დანართით.

14. შუალედური შეფასება ტარდება პროგრამის განხორციელების შუა ეტაპზე, როცა პროფესიულ სტუდენტს გავლილი ექნება მოდულების შესაბამისი სწავლის შედეგების არანაკლებ 40% და არაუმეტეს 60% და თემატიკა ეხება მხოლოდ შუალედური შეფასების ჩატარებამდე მიღწეულ სწავლის შედეგებს. შუალედური შეფასება სავალდებულოა და შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის გარეშე დაუშვებელია საკვალიფიკაციო გამოცდაზე პირის დაშვება.

15. შუალედური შეფასება განმავითარებელია და მის განსახორციელებლად საჭიროა შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელმა, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა და დარგის პროფესიული განათლების მასწავლებელმა შეიმუშავოს შეფასების ფორმა, რომელიც მტკიცდება შესაბამის ფაკულტეტზე.

16. შუალედური შეფასებისას შესაძლებელია გამოყენებული იქნეს:

ა) კომპლექსური დავალება;

ბ) პრაქტიკული დავალება;

გ) პრეზენტაცია;

დ) პორტფოლიოს პრეზენტაცია;

ე) დასრულებული ან მიმდინარე პროექტი;

ვ) პროფესიული სტუდენტის მიერ საკუთარი სწავლის შედეგების ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის მომზადების გზით;
ზ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სხვა ტიპის დავალება/დავალებები.
17. შესაბამისი ფაკულტეტის საფაკულტეტო ბრძანებით მტკიცდება შუალედული შეფასების კომისია და განისაზღვრება მისი მუშაობის და გადაწყვეტილების მიღების წესი. შეფასების კომისიის შემადგენლობაში შედიან პროფესიული განათლების მასწავლებლები და შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციების და დარგობრივი ასოციაციების ან/და დარგის ექსპერტების/ ან/და განათლების ექსპერტების ან/და სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების მონაწილეობა.
18. შუალედური შეფასების ფარგლებში შეიძლება გამოყენებულ იქნეს დიფერენცირებული (ქულობრივი) ან/და არადიფერენცირებული (დადასტურდა/ვერ დადასტურდა) შეფასება.
19. შუალედური შეფასება განმავითარებელი უკუკავშირით უნდა დასრულდეს, რაც გულისხმობს კომენტარს/უკუკავშირს პროფესიული სტუდენტის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის და სწავლის ხელშეწყობის მიზნით.
20. თუ პროფესიული სტუდენტი შეფასებაზე ან გამოცდაზე ვერ გამოცხადდა ავადმყოფობის ან სხვა საპატიო მიზეზით, მას უფლება აქვს შეფასების/გამოცდის აღდგენის თაობაზე წერილობითი განცხადებით მიმართოს რექტორს აღნიშნული მიზეზის აღმოფხვრიდან არაუგვიანეს 15 დღისა. სტუდენტი ვალდებულია შეფასების/გამოცდის აღდგენის შესახებ განცხადებას დაურთოს საპატიო მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტი/დოკუმენტები. შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი არაუგვიანეს 3 დღის ვადაში უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის დაშვებას დამატებით მიმდინარე/შუალედურ შეფასებაზე/გამოცდაზე.

მუხლი 21. პროფესიული სტუდენტის მიერ კრედიტების დაგროვება

1. პროფესიული სტუდენტის მიერ კრედიტების (ECVET) – (შემდგომში კრედიტი) მიღება/დაგროვება შესაძლებელია მხოლოდ მის მიერ მოდულით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.
2. მოდულის კრედიტი წარმოადგენს მასში შემავალი სწავლის შედეგების კრედიტების ჯამს.
3. ერთი კალენდარული წლის განმავლობაში სრული სასწავლო დატვირთვის პირობებში მიღწევადი სწავლის შედეგების ერთობლიობა შეადგენს 60 კრედიტს. სრული სასწავლო დატვირთვა გულისხმობს პირის მიერ ერთი კალენდარული წლის მანძილზე 1500 – 1800 (საკონტაქტო და არასაკონტაქტო) საათიან დატვირთვას.
4. კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო კრედიტების რაოდენობა განისაზღვრება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული კვალიფიკაციის დონისა და პროგრამის ხანგრძლივობის მიხედვით.
5. პროფესიული სტუდენტის მიერ დაგროვებული კრედიტების რაოდენობა აისახება პროფესიული სტუდენტის სასწავლო ბარათში, რომელიც ინახება მის პირად საქმეში.

6. პროფესიული სტუდენტის სასწავლო ბარათში თითოეულ მოდულში დაგროვებული კრედიტებისა და მიღებული შეფასებების შესახებ ინფორმაცია ჩაიწერება მოდულის წამყვანი პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისის (დანართი №5) მიხედვით.
7. პროფესიული სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების (სრულად დამთავრების) შემდეგ, თუ მას შეჩერებული არ აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი, მიენიჭება კვალიფიკაცია და მიეცემა პროფესიული დიპლომი.

მუხლი 22. პროფესიული პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების წესი
1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის შედეგი შეიძლება მიღწეული იქნეს რეალურ ან/და იმიტირებულ სამუშაო გარემოში.
2. იმიტირებულ სამუშაო გარემოში პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება უნივერსიტეტის ბაზაზე, შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის ხელმძღვანელობით, რომელიც ვალდებულია პრაქტიკის განხორციელებამდე უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება ამ მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრულ საკითხებზე.
3. იმიტირებულ სამუშაო გარემოში პრაქტიკული კომპონენტის შეფასებას ახორციელებს შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი პროგრამის/მოდულის შესაბამისად.
4. რეალურ სამუშაო გარემოში პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება კოოპერაციული სწავლების ფორმით, პარტნიორ ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულების/მემორანდუმის საფუძველზე კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. უნივერსიტეტთან ერთად პროფესიული პროგრამის კოოპერაციული სწავლების სახით განხორციელების უფლება აქვს მეწარმე სუბიექტს/იურიდიულ პირს ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის/ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირს (ორგანიზაცია).
6. ხელშეკრულების/მემორანდუმის დადებამდე საჭიროა შეფასებული იქნეს რამდენად აკმაყოფილებს ორგანიზაცია კანონმდებლობით დადგენილ შემდეგ კრიტერიუმებს:
ა) ორგანიზაციის ადამიანური და მატერიალური რესურსი შესაბამისობაშია თუ არა პროგრამის მოთხოვნებსა და სწავლის შედეგებთან;
ბ) ორგანიზაციის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზიას/ნებართვას ან სხვა სპეციალურ რეგულირებას დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, მოპოვებული აქვს თუ არა ორგანიზაციას შესაბამისი ლიცენზია/ნებართვა ან სპეციალური რეგულირებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილება;
გ) აკმაყოფილებს თუ არა ორგანიზაცია უნივერსიტეტის მიერ შესაბამისი პროფესიული პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის დადგენილ დამატებით კრიტერიუმებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

7. ამ წესის მე-6 პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმების შეფასებაზე პასუხისმგებელია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი.

8. პარტნიორ ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულება/მემორანდუმი უნდა მოიცავდეს:

ა) ორგანიზაციისა და უნივერსიტეტის საიდენტიფიკაციო მონაცემებს;

ბ) პროგრამის სახელწოდებას (ქართულ და ინგლისურ ენებზე), რომლის ფარგლებშიც ხორციელდება თანამშრომლობა;

გ) ორგანიზაციისა და პროგრამის განხორციელების ადგილის მისამართებს;

დ) პარტნიორი ორგანიზაციის ვალდებულებებს პროფესიული პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პერიოდში შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის უზრუნველყოფისა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნის შესახებ;

ე) ხელშეკრულების/მემორანდუმის ვადას, რომელიც არ უნდა იყოს პროგრამის ხანგრძლივობაზე ნაკლები და ხელშეკრულების/მემორანდუმის შეწყვეტის წესს;

ვ) პარტნიორი ორგანიზაციის/უნივერსიტეტის სხვა უფლებებს, ვალდებულებებს, პასუხისმგებლობებსა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა საკითხებს.

9. პროფესიულ სტუდენტთა განაწილებას პრაქტიკის ობიექტებზე ახორციელებს შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი პარტნიორ ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, პროფესიული პროგრამის/მოდულის შესაბამისად.

10. პროგრამის ხელმძღვანელი და შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი აწყობენ სამუშაო შეხვედრას პროფესიულ სტუდენტებთან საწარმოო პრაქტიკის დაწყებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე და ახორციელებენ მათ ინფორმირებას შემდეგ საკითხებზე:

ა) საწარმოო პრაქტიკის დღეების ხანგრძლივობა;

ბ) პრაქტიკის ადგილზე მისვლის და წამოსვლის დრო;

გ) დღის განმავლობაში პრაქტიკის საათების რაოდენობა;

დ) შრომის უსაფრთხოების წესებისა და ეთიკის ნორმების შესახებ.

11. პრაქტიკის დაწყებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე გამოიცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ბრძანება და პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელის მიერ პარტნიორ ორგანიზაციას ეგზავნება მიმართვა/წერილი/ინფორმაცია, სადაც ასახულია პრაქტიკის ობიექტის დასახელება, შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის - პრაქტიკის ხელმძღვანელის საკონტაქტო ინფორმაცია, პროგრამის/მოდულის დასახელება, პრაქტიკის ხანგრძლივობა, მოცულობა და ობიექტზე განაწილებული პროფესიული სტუდენტების სახელობითი სია.

12. სსსმ პროფესიული სტუდენტების პრაქტიკაზე განაწილება ხორციელდება ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის აქტიური ჩართულობით კანონიერ წარმომადგენელთან ერთად, პრაქტიკის ობიექტის სასწავლო გარემოს წინასწარი შეფასების საფუძველზე.

13. საჭიროების შემთხვევაში, როდესაც გარემო ფაქტორების ან/და ფორსმაჟორული მდგომარეობის გათვალისწინებით ვერ ხერხდება პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკაზე

განაწილება, პროგრამის ხელმძღვანელი უფლებამოსილია გადაიტანოს საწარმოო პრაქტიკა გონივრული ვადით, რისთვისაც შეაქვს ცვლილება სასწავლო გეგმაში.

14. შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი პასუხისმგებელია პროფესიულ სტუდენტთა გამოცხადების კონტროლზე. პროფესიული სტუდენტის მიერ თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან პარტნიორი ორგანიზაციის მიერ შრომის კოდექსის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, ის ვალდებულია წერილობით მიაწოდოს ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელს.

15. პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელია მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი და ასევე, პარტნიორი ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი/ინსტრუქტორი/მენტორი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

16. პრაქტიკა წარიმართება შესაბამისი მოდულის პრაქტიკული კომპონენტის მიხედვით.

17. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებას პროგრამის/მოდულის შესაბამისად ახორციელებს მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი. ან/და პარტნიორი ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი/ინსტრუქტორი/მენტორი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, გააცნოს პარტნიორი ორგანიზაციის მიერ გამოყოფილ პრაქტიკის ხელმძღვანელს/ინსტრუქტორს/მენტორს შესაბამისი მოდულის პრაქტიკული კომპონენტი და პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი.

მუხლი 23. სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრება

1. პროფესიული სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება სწავლის შედეგების ან გამოცდის შეფასებას, უფლებამოსილია, შეფასების შედეგის გაცნობიდან სამი სამუშაო დღის ვადაში, დასაბუთებული საჩივრით მიმართოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა.

2. საჩივარს არა უგვიანეს 2 დღის ვადაში განიხილავს და შესაბამის დასკვნას შეიმუშავებს დეკანის ბრძანებით შექმნილი დარგობრივი კომისია, რომელშიც შედის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და დარგის სპეციალისტი. კომისიის დასკვნის საფუძველზე დეკანი იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

3. დეკანის გადაწყვეტილება შეიძლება იყოს შემდეგი სახის:

ა) მოთხოვნილი შეფასების დადასტურება;

ბ) განმეორებითი შეფასება იგივე პირობებში;

გ) განმეორებითი შეფასება საკომისიო წესით;

დ) საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

4. მიღებული გადაწყვეტილება 2 სამუშაო დღის ვადაში ეცნობება პროფესიულ სტუდენტს. დეკანის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. იმ შემთხვევაში, თუ საკითხის განხილვისას გამოიკვეთა უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის ნიშნები, საკითხი შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცემა შესაბამის დისციპლინარული წარმოების განმახორციელებელ ორგანოს.

მუხლი 24. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისი

1. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისი (შემდგომში – უწყისი) არის თითოეულ მოდულში პროფესიული სტუდენტების მიღწევების (სწავლის შედეგების დადასტურებების) ნაკრები.
2. უწყისში ინფორმაციის შეტანისას მოდულის წამყვანი პროფესიული განათლების მასწავლებელი უნდა დაეყრდნოს მოდულის ფორმატით გათვალისწინებული სხვადასხვა სახის მეცადინეობების წამყვანი პროფესიული განათლების მასწავლებლების მონაცემებს.
3. უწყისში მოყვანილ ინფორმაციაზე სრულ პასუხისმგებლობას იღებს მოდულის წამყვანი პროფესიული განათლების მასწავლებელი.
4. სტუდენტთა შეფასების უწყისში უნდა იყოს მოცემული შემდეგი სახის ინფორმაცია:
ა) უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის დასახელება;
ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება;
გ) პროფესიული ჯგუფის ნომერი;
დ) მოდულის დასახელება;
ე) მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლის სახელი და გვარი;
ვ) შესაბამისი მოდულის კრედიტების რაოდენობა;
ზ) პროფესიული სტუდენტის სახელი და გვარი;
თ) პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების დადასტურება;
ი) მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის, პროგრამის ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერები, თარიღი და რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია.

მუხლი 25. სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირება და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები

1. უნივერსიტეტი ახორციელებს ინკლუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმობს სპეციალური საგანამანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას.
2. საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანამანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის უნივერსიტეტის მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას ან/და აკომოდაციას (სწავლების და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანამანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანამანათლებლო მომსახურებას.
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოყენებული იქნება, როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანამანთლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანამანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანამანთლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება განხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.
4. სპეციალური საგანამანთლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთათვის უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობას შესაბამისი ინფრასტრუქტურის გამართვის გზით.

მუხლი 26. მობილობა

1. მობილობა შესაძლებელია უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლის (შიდა მობილობა) ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი სხვა დაწესებულებიდან უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადმოსვლის (გარე მობილობა) გზით.
2. მობილობის უფლება აქვს პირს, რომელმაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოიპოვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და რომელიც მობილობის განხორციელების მომენტისთვის არის პროფესიული სტუდენტი.
3. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ (დანართი №1) იმავე ან ქვედა დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.
4. მობილობის უფლება პროფესიულ სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ პროგრამაზე, რომელზე დაშვების წინაპირობასაც ის აკმაყოფილებს.
5. მობილობის უფლება აქვს პირს, რომელსაც მობილობის განხორციელების მომენტისათვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი. პროფესიული სტუდენტები, რომელთა დაწესებულებები ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ან დაწესებულებამ დაკარგა პროგრამის განხორციელების უფლება ან საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, ამ წესის მიზნებისათვის მიიჩნევიან პროფესიული სტუდენტის სტატუსშეჩერებულ პირებად და მათზე ვრცელდება ამ წესით დადგენილი პირობები.
6. უნივერსიტეტი უფლებამოსილია შესთავაზოს პროფესიულ სტუდენტს მობილობა თუ სწავლის მიმდინარეობისას ჯგუფში დარჩა სტუდენტთა არასაკმარისი რაოდენობა და უნივერსიტეტს არ ჰყავს ამავე სპეციალობაში სხვა ჯგუფი.
7. ამ მუხლის მე-6 პუნქტში აღნიშნული გარემოების დადგომისას, უნივერსიტეტი უფლებამოსილია შესთავაზოს პროფესიულ სტუდენტს შიდა მობილობა უნივერსიტეტში არსებულ სხვა, მონათესავე პროფესიულ პროგრამაზე.
8. იმ შემთხვევაში თუ უნივერსიტეტს არ გააჩნია ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული პროგრამა, პროფესიულ სტუდენტს შესთავაზებს გარე მობილობას, რათა მან დაასრულოს სწავლა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელიც ახორციელებს მონათესავე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, ამ დაწესებულებასა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის/ ხელშეკრულების საფუძველზე.
9. პროფესიული სტუდენტის მობილობა ხორციელდება შესაბამისი პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში.
10. მობილობის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს ცენტრი.
11. მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვების მიზნით პროფესიული სტუდენტი, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენელი შესაბამისი განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს. განცხადებაში უნდა მიეთითოს იმ პროგრამის სახელწოდება, რომელზეც პროფესიულ სტუდენტს სურს გადასვლა. განცხადებას უნდა დაერთოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის თაობაზე შესაბამისი სამართლებრივი აქტის ასლი;

გ) ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი მოდულების თაობაზე

გაცემული შესაბამისი დაწესებულების მიერ.
12. ამ მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობა ან არარასრულად წარმოდგენა შესაძლებელია გახდეს პირის განაცხადის განხილვაზე უარის თქმის საფუძველი.
13. უნივერსიტეტი უფლებამოსილია სისტემიდან დამატებით მოიპოვოს ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის სტატუსის, არსებობის შემთხვევაში სტატუსის შეჩერების საფუძვლების და მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ.
14. უნივერსიტეტი უფლებამოსილია უარი განაცხადოს პირის მობილობით ჩარიცხვაზე, თუ:
ა) არ აქვს ვაკანტური ადგილები პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში;
ბ) ვერ უზრუნველყოფს მობილობის მსურველი პირის შემდგომ განათლებას მიმღები პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით;
გ) მობილობის მსურველი ვერ აკმაყოფილებს უნივერსიტეტის მიერ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დადგენილ წინაპირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
15. მობილობის მსურველი პირის განცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება პირის ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ ხდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში.
16. უნივერსიტეტის შესაბამისი საფაკულტეტო კომისია ადგენს მობილობის მსურველი პირის არჩეულ პროგრამასთან მის მიერ გავლილი პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესის 28-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.
17. აღიარება ფორმდება უნივერსიტეტის შესაბამისი საფაკულტეტო კომისიის დასკვნის საფუძველზე გამოცემული უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, რომელშიც მიეთითება გარე მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღებ, ხოლო შიდა მობილობის შემთხვევაში – უნივერსიტეტის სხვა პროგრამასთან, ასევე აღიარებული სწავლის შედეგები და კრედიტების რაოდენობა. საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტი ვალდებულია პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით შეადგინოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.
18. პროფესიული სტუდენტის მობილობით ჩარიცხვა ფორმდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

მუხლი 27. საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას ადგენს და გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ იღებს საფაკულტეტო კომისია.
2. აღიარებას ექვემდებარება საგანმანათლებლო დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი და უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების შესაბამისობა.
4. საფაკულტეტო კომისია უფლებამოსილია, გასაუბრების ან/და გამოცდის საფუძველზე დაადგინოს მობილობის მსურველი პირის მიერ მიღებული პროფესიული განათლების თავსებადობა უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან.
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების აღიარება გულისხმობს პროფესიული სტუდენტის მიერ სხვა ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების და სწავლის შედეგების შედარებას უნივერსიტეტის იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან, რომელზეც პირს სურს სწავლის გაგრძელება ან განახლება.
6. პროგრამის კრედიტების აღიარების შესახებ გადაწყვეტილებაში დეტალურად მიეთითება შესაბამისობები და შეუსაბამობები პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილ პროგრამასა და უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას შორის.
7. საფაკულტეტო კომისიის მიერ მიღებული დასკვნა წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.
8. უნივერსიტეტის რექტორის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარების შესახებ მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა უნივერსიტეტის პროგრამასთან და ასევე, აღიარებული კრედიტების რაოდენობა.

მუხლი 28. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება/აღდგენა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება უნივერსიტეტსა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.
2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
ა) პროფესიული სტუდენტის პირადი განცხადება მიზეზის გარეშე;
ბ) ადმინისტრაციული (ფინანსური) ან აკადემიური (სასწავლო) რეგისტრაციის გაუვლელობა;
გ) სამი და მეტი მოდულის სწავლის შედეგების დაუდასტურებლობა;
დ) დამატებითი სასწავლო ხელშეკრულების გაუფორმებლობა;
ე) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა;
ვ) ავადმყოფობა, თუ დოკუმენტურად დასტურდება პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესში მონაწილეობის შეუძლებლობა;
ზ) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე, რაც გამორიცხავს სასწავლო პროცესში პროფესიული სტუდენტის მონაწილეობის შესაძლებლობას;
თ) სამხედრო სავალდებულო ან სამხედრო სარეზერვო სამსახურში გაწვევა;
ი) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.
3. დაუშვებელია გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საქართველოდან წასული პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერება.
4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი.
5. სტატუსის აღდგენისას სტუდენტი სწავლას აგრძელებს იმ ეტაპიდან რა ეტაპზეც მას შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი.
6. თუ პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის უნივერსიტეტი აღარ ახორციელებს იმ პროგრამას, რომელზეც პროფესიულ სტუდენტს შეუჩერდა სტატუსი, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია ამ წესის 27-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დაცვით, სხვა პროგრამაზე მობილობის განხორციელების გზით.

მუხლი 29. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტად განიხილება უნივერსიტეტსა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის აღდგენის უფლების გარეშე.

2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
ა) სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლიანი ვადის გასვლა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა;
ბ) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;
გ) პირადი განცხადება;
დ) საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით დადგენილ ვადებში;
ე) პროფესიული სტუდენტის მიმართ განხორციელებული დისციპლინური დევნის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და ეთიკის კოდექსის ნორმების საფუძველზე;
ვ) გარდაცვალება;
ზ) სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე (შიდა მობილობა) ან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა (გარე მობილობა);
თ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

მუხლი 30. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი

1. პროფესიული პროგრამა შესაძლოა შეიცვალოს ან გაუქმდეს პროფესიული სტანდარტის ცვლილება/გაუქმების, შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
2. პროფესიული პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებას.
3. პროფესიული პროგრამის შეცვლის შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის გადაყვანას ალტერნატიულ/შეცვლილ პროფესიულ პროგრამაზე.
4. პროფესიული პროგრამის გაუქმების შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროფესიული პროგრამის დასრულებას მილევად რეჟიმში ან სტუდენტთან შეთანხმების გზით, უზრუნველყოფს მის გადაყვანას უნივერსიტეტში მოქმედ სხვა პროფესიულ პროგრამაზე, თუ კი პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან შესაბამისობა დასტურდება. ხოლო იმ შემთხვევაში თუ ეს ვერ ხორციელდება მობილობით დადგენილ წესებთან შეუსაბამობის გამო, უნივერსიტეტი პროფესიულ სტუდენტს შესთავაზებს გარე მობილობას იმ დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება/მემორანდუმი.

მუხლი 31. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება და პროფესიული დიპლომის/დანართის გაცემა

1. პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, რომლის მიზანია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების შესრულების პროცესში კომპლექსურად გამოყენების უნარის შეფასება.
2. საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის დადასტურება და შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა.
3. საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების ზოგად წესსა და პირობებს განსაზღვრავს მინისტრი. შესაბამისი დარგობრივი უნარების ორგანიზაცია უფლებამოსილია, დარგის

სპეციფიკის გათვალისწინებით, განსაზღვროს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების დამატებითი პირობები.
4. უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით იქმნება სპეციალური კომისია, რომელიც შეისწავლის კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო ყველა დოკუმენტაციას.
5. რექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით პროფესიულ სტუდენტს ანიჭებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ შესაბამის კვალიფიკაციას.
6. კვალიფიკაციის მინიჭების შემდგომ პირზე გაიცემა კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისი დიპლომი და დიპლომის დანართი.
7. პროფესიულ სტუდენტს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ან ამ წესის 25-ე მუხლის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამა გაიარა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე, ეძლევა სათანადო ცნობა მიღწეული სწავლის შედეგების თაობაზე (დანართი №6).

მუხლი 32. პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე

1. შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატი თითოეულ პროფესიულ სტუდენტზე ქმნის პირად საქმეს.
2. პირად საქმეში უნდა იყოს:
ა) პროფესიული სტუდენტის სასწავლო ბარათი (დანართი 2);
ბ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
გ) საფინანსო ხელშეკრულება (მათ შორის დამატებითი, არსებობის შემთხვევაში);
დ) სასწავლო ხელშეკრულებები (მათ შორის დამატებითი, არსებობის შემთხვევაში);
ე) პირადობის მოწმობის ასლი;
ვ) ორი ფერადი ფოტოსურათი 3X4 და მისი ელექტრონული ვერსია (CD დისკზე);
ზ) სამხედრო დოკუმენტის ასლი (სამხედროვალდებულთათვის);
თ) ჩარიცხვის ბრძანების ამონაწერი/დამოწმებული ასლი;
ი) პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ბრძანებების დამოწმებული ამონაწერები/ასლები.
3. პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში უნდა ინახებოდეს აგრეთვე სწავლის პერიოდში პროფესიული სტუდენტის მიერ წარმოდგენილი, სათანადოდ დამოწმებული ჯანმრთელობის ცნობები და სხვა საბუთები, პროფესიული სტუდენტისთვის მიცემული დახასიათებების ასლები, მისი აქტიურობის, წახალისებისა და მასზე დისციპლინური ზემოქმედების ამსახველი ინფორმაცია და სხვ.
4. კურსდამთავრებულის პირად საქმეში უნდა ინახებოდეს აგრეთვე კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტების დამოწმებული ამონაწერები/ასლები.
5. პროფესიული სტუდენტის პირად ბარათში უნდა იყოს შემდეგი რეკვიზიტები:
ა) პროფესიული სტუდენტის სახელი და გვარი (ქართულად და ინგლისურად);
ბ) პირადი ნომერი;
გ) დაბადების თარიღი;
დ) საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელ.ფოსტის მისამართი;
ე) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის/დოკუმენტების მონაცემები.

მუხლი 33. პროფესიული სტუდენტის უფლებები/მოვალეობები

1. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მიიღოს მისი ინტერესების შესაბამისი ხარისხიანი განათლება, აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო და პრაქტიკულ საქმიანობაში.
2. დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის უფლებების შეზღუდვა, თუ იგი არ

ემსახურება სასწავლო პროცესის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას, მაღალი ხარისხის სწავლების, დისციპლინისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ან არ არის მიმართული უნივერსიტეტის მიზნებისა და პრინციპების საწინააღმდეგო საქმიანობის აღკვეთისათვის.

3. კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდასამართლებრივი აქტებით დადგენილი უფლებების გარდა პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია:

ა) მოითხოვოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის შიდასამართლებრივი აქტებით, პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებითა და საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება;

ბ) ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სასწავლო და დამხმარე რესურსით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

გ) მიიღოს შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციისგან ამომწურავი ინფორმაცია თავისი უფლებების, საგანმანათლებლო პროგრამებისა და უნივერსიტეტის სხვა რესურსების შესახებ.

დ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;

ე) მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში;

ვ) მიიღოს მონაწილეობა სასწავლო პროცესის შეფასებაში;

ზ) საკუთარი ინტერესების შესაბამისად თავისუფლად დააფუძნოს პროფესიული და სხვა სტუდენტური ორგანიზაციები ან/და გაერთიანდეს მათში;

თ) განახორციელოს მისთვის საქართველოს მომქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი რეგულაციებით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.

4. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

ა) დაიცვას კანონმდებლობის, საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებისა და სხვა შიდა სამართლებრივი აქტების მოთხოვნები;

ბ) შეასრულოს საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი მოთხოვნები;

გ) შეასრულოს უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

დ) დაიცვას სხვა პირების უფლებები და კანონიერი ინტერესები;

ე) სასურველი შედეგის მიღწევის მიზნით არ გამოიყენოს პლაგიატი;

ვ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურას;

ზ) დაიცვას უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი;

თ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის პრესტიჟს, დაიცვას უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ქცევის წესები, აგრეთვე ეთიკის ნორმები უნივერსიტეტის პერსონალთან და სხვა სტუდენტებთან ურთიერთობაში.

მუხლი 34. პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნა

1. პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნა უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ უნივერიტეტის ეთიკის კოდექსით დადგენილი წესით.

2. პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნის წარმოება არ უნდა ზღუდავდეს პროფესიული სტუდენტის უფლებას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა ისეთი შემთხვევებისა თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, დაწესებულების საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას.

3. პროფესიული სტუდენტის დისციპლინური დევნის საკითხები რეგულირდება უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით.

მუხლი 35. სასწავლო პროცესის დისტანციურად/ (შერეული) ჰიბრიდული ფორმით განხორციელება

კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაძლებელია სასწავლო პროცესი განხორციელდეს დისტანციურად (შერეული) ჰიბრიდული ფორმით, უნივერსიტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 36. გარდამავალი დებულებანი

1. 2021 წლიდან პროფესიულ პროგრამებზე რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენებზე შერჩევის გზით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამაზე სწავლება დაიწყება ქართული ენის მოდულით. ქართული ენის მოდულის დაუძლევლობის შემთხვევაში, პირს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი. ქართული ენის მოდულის დაძლევის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი სარგებლობს გარდამავალი (მომლოდინე) პროფესიული სტუდენტის სტატუსით და უფლებამოსილია:

ა) სწავლა განაგრძოს იმავე პროგრამაზე, რომელზეც განხორციელდა მისი ჩარიცხვა. ამ შემთხვევაში, მას პროფესიული სტუდენტის სტატუსი გაუაქტიურდება პირადი განცხადების საფუძველზე, შემდგომი მიღების ფარგლებში ამ პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის დაწყებისთანავე;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად ისარგებლოს შიდა მობილობით კანონდებლობით დადგენილი წესით;

გ) ისარგებლოს გარე მობილობით, მინისტრის მიერ დადგენილი წესით;

დ) შეინარჩუნოს მის მიერ მოპოვებული სამართლებრივი მდგომარეობა.

2. უნივერსიტეტი უფლებამოსილია 2024 წელს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესით ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტს პროგრამაზე სწავლა დააწყებინოს ქართული ენის მოდულის გავლის გარეშე, იმ შემთხვევაში თუ პროგრამით (რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება) გათვალისწინებული მოდულით/მოდულებით დადგენილი ენობრივი კომპეტენცია დადასტურდება უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული შეფასების მექანიზმებით.

3. 2024 წელს, პროგრამაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვა ხორციელდება ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეტაპების დაცვით, აღნიშნული ეტაპებისთვის განსაზღვრულ ვადებში. ამასთან, პროგრამაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა შერჩევა წარიმართება უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით, პრაქტიკული მოსინჯვის საფუძველზე და „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლის მე-2-მე-7 პუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

4. ამ წესის მე-20 და 31-ე მუხლებით განსაზღვრული შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის სავალდებულოობა ვრცელდება 2024 წლის მიღების ფარგლებში განხორციელებულ იმ პროგრამებზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებზე, რომელთა პროფესიული საგანმანთლებლო სტანდარტი საკვალიფიკაციო გამოცდას განსაზღვრავს კვალიფიკაციის მინიჭების ერთ-ერთ წინაპირობად.

5. დამტკიცდეს რეალურ სამუშაო გარემოში კოოპერაციული სწავლების ფორმით პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით პარტნიორ ორგანიზაციებთან დასადები პრაქტიკის ხელშეკრულების ფორმა (დანართი 7).

(აკადემიური საბჭოს (სენატის) 2025 წლის 08 ივლისის №01-05-04/117 დადგენილება)